



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

25 თებერვალი 2014 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში №1/129

2013 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	5
ფორმა N1 - ბალანსი 2013.....	8
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013.....	9
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2013.....	10
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2013.....	11
ფორმა N6- ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2013	12
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები	13

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს (შემდეგში სამინისტრო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიშს ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე საქართველოს კანონის, "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას,

რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვროს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N5 და ფორმა N6, კერძოდ:

- ბალანსის საცნობარო მუხლში - პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები (02), აღრიცხულია 1,642,795.92 ლარის აქტივების დანაკლისები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ სამინისტროზე შემდგომი განკარგვის მიზნით გადმოცემულ, რიგი ორგანიზაციების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მათ ბალანსზე რიცხულ საომარი მოქმედებების შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე (ზემო აფხაზეთში) დარჩენილ და სხვა დაკარგულ (დატაცებულ) ქონებას; ზემოაღნიშნული აქტივების დანაკლისის თანხების არსებული აღრიცხვა ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობას, ვინაიდან ამ მუხლში უნდა აღრიცხულიყო ორგანიზაციის მიერ დროებით, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობანი, ხოლო 1,642,795.92 დანაკლისები უნდა აღრიცხულიყო შესაბამის საბუღალტრო ანგარიშზე (1440) და საბალანსო მუხლში - "მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით"¹.
- სამინისტროს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013 წლის ანგარიშში (ბალანსის დანართი ფორმა N2) ფაქტობრივ ხარჯებში - საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლიდან „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ - 36,814.89 ლარიდან (მათ შორის: სამინისტროს ბალანსიდან ჩამოწერილი ძირითადი აქტივების თანხა - 3,851.95 ლარი და დარიცხული ცვეთა - 32,962.94 ლარი) არ იყო აღრიცხული ცვეთის თანხები 32,962.94 ლარი².

¹საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 38-ე პუნქტის და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები;

²საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

- სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება ვერ ასახავს ასევე რეალურ სიტუაციას სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანების რაოდენობასა და ღირებულებებთან მიმართებით, ვინაიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსში (ფორმა N1 და ფორმა N6) ერთობლივად არის აღრიცხული, როგორც სამინისტროს აპარატის კუთვნილი - ექსპლუატაციაში მყოფი 3 ერთეული ავტომანქანა (საბალანსო ღირებულებით 26,451.22 ლარი), ასევე მხარჯავი დაწესებულებებიდან გადმოცემული-საპრივატიზაციო რეჟიმში მყოფი 7 ერთეული სატრანსპორტო საშუალება (საბალანსო ღირებულებით 8,323.53 ლარი); შედეგად, სამინისტროს 2013 წლის ბოლოს, ბალანსის მუხლი მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, არასწორად აქვს გაზრდილი 8,323.53 ლარით.

საგულისხმოა, რომ ის ნაკლოვანებები, რომლებიც წარმოდგენილია აღნიშნულ პარაგრაფში გამოვლენილი და წარდგენილი იყო სამინისტროსათვის წინა აუდიტის დროსაც, რაც სამინისტრომ არ გაითვალისწინა და არ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად, შედეგად 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება ვერ ასახავს უტყუარად და სამართლიანად ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის ფინანსურ შედეგებს.

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გამო სამინისტროს 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება, ვერ ასახავს უტყუარად და სამართლიანად სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის ფინანსურ შედეგებს.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

რისკების შეფასება და მართვა

სამინისტროს არ შეუმუშავებია ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა; კერძოდ, არ განუხორციელებია რისკების განსაზღვრა და შეფასებები; არ განუსაზღვრავს რისკების მნიშვნელობა, ალბათობა და საპასუხო კონკრეტული კონტროლის მექანიზმების დოკუმენტურად ასახვა³.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

მინისტრის ბძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2013 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 15 მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია სულ 48,164.0 ლარი.

³ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-13 მუხლის მოთხოვნები.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 5 პირი აყვანილია მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. კერძოდ, მათზე დაკისრებული იყო: სამინისტროს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა (თვეში 400 ლარის ანაზღაურებით), საშტატო განრიგით გათვალისწინებული სამინისტროს საჯარო მოხელეებისათვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა (ორი პირი თვეში 380 ლარის და 480 ლარის ანაზღაურებით), საზოგადოებასთან ურთიერთობის რეგულირება (თვეში 400 ლარის ანაზღაურებით), სამინისტროს საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ინფორმაციების მოძიება-დამუშავება და ხელმძღვანელობისათვის მიწოდება (თვეში 500 ლარის ანაზღაურებით). ჯამში აღნიშნულ შტატგარეშე მოსამსახურეებზე ანაზღაურებულია სულ 22,413.0 ლარი; ხოლო 6 პირი შედარებით ნაკლები ვადებით იყვნენ დანიშნული შტატგარეშე მოსამსახურეებად და დაკისრებული ჰქონდათ ისეთი მოვალეობები, რომელიც სამინისტროს დებულებით განსაზღვრული შტატით მომუშავეთა ფუნქციებს შეესაბამებოდა, კერძოდ: საზოგადოებასთან ურთიერთობის რეგულირება (3 თვე - თვეში 400 ლარის ანაზღაურებით); ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების ნუსხის შედგენაში მონაწილეობის მიღება (7.5 თვე - თვეში 380 ლარის ანაზღაურებით); სამინისტროს საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ინფორმაციების მოძიება-დამუშავება და ხელმძღვანელობისათვის მიწოდება (3 თვე - თვეში 500 ლარის ანაზღაურებით); სამინისტროს 100 %-იანი წილით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური მონიტორინგის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, ასევე შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხელშეწყობა (4 თვე - თვეში 380 ლარი); მედია კოორდინატორის ფუნქცია (2.5 თვე - თვეში 630 ლარის ანაზღაურებით); სამინისტროს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა (თვეში 400 ლარის ანაზღაურებით); შიდა აუდიტის სამსახურში ფინანსური კონსულტანტის ფუნქცია (7.5 თვე - თვეში 400 ლარის ანაზღაურებით). როგორც ჩატარებული შემოწმებითა და ეკონომიკის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით გაირკვა, სამინისტროსათვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა შტატგარეშედ მოსამსახურეების სამსახურში აყვანა და მათზე ანაზღაურების სახით თანხების გადახდა⁴.

ავტომანქანის საწვავის ხარჯები

სამინისტროს სარგებლობაში იყო 3 ავტომანქანა. მათ შორის: ერთი პერსონალური სარგებლობისათვის (რომელიც ემსახურებოდა მინისტრს) და ორი სამსახურებრივი დანიშნულებისათვის.

4 „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნები.

სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე მინისტრის ბრძანებით დაწესებული იყო საწვავის ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტები. ამასთან, მივლინებებთან დაკავშირებით მგზავრობისათვის საწვავის გაცემა ხდებოდა დამატებით, დაწესებულ ლიმიტებზე ზემოთ. ამ მხრივ გაცემულია: მინისტრზე (ნ. შეროზია) 13 შემთხვევაში 2,502.10 ლარის ღირებულების 1,308 ლიტრი საწვავი, ხოლო მინისტრის მოადგილეზე (ი. დოლიძე) 3 შემთხვევაში 1,158.40 ლარის ღირებულების 590 ლიტრი საწვავი. მოცემულ შემთხვევებში მივლინებებთან დაკავშირებით მივლინების ხარჯების გაწევისას, არ მომხდარა მგზავრობის ხარჯების მინიმალური ტარიფებით ანაზღაურება, რითაც სრულად არ იქნა დაცული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები⁵.

⁵ საქართველოს პრეზიდენტის N231 ბრძ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ფორმა N1 - ბალანსი 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	ნაშთი წ/დ	ნაშთი წ/ზ
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში			
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში			
ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის			
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3		
მოთხოვნები მივლინებით			
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები			
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით			
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები		47,448.28	994,724.30
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		98,831.79	53,780.71
სხვა ძირითადი აქტივები			
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები			
სხვა მატერიალური მარაგები			
არაწარმოებული აქტივები			
სულ არაფინანსური აქტივები			
ბალანსი		146,280.07	1,048,505.01
ვალდებულებები და კაპიტალი			
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	4		
გადასახდელი დღგ			
ვალდებულებები მივლინებით			
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით			
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები			
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		146,280.07	1,048,505.01
გაუნაწილებელი მოგება			
სულ კაპიტალი			
ბალანსი		146,280.07	1,048,505.01
საცნობარო მუხლები			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები		1,642,795	1,642,795
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში		2,938	1,986.11
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		34,574.48	56,985.88
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		42,824.23	20,114.30

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	შენიშვნა	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრ ივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება		522730	534675	534675	528574.60	528574.60	528574.60	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		482,520	469,925	469,925	464,204.60	464,204.60	464,204.60	
1.1.1.3 პრემია	5	40,210	64,750	64,750	64,370	64,370	64,370	
1.2 საქონელი და მომსახურება		115710	113246	109217.56	105709.44	105709.44	105709.44	
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		46560	49010	49010	48163.99	48163.99	48163.99	
1.2.2 მივლინებები		3000	3800	3800	3607	3607	3607	
1.2.3 ოფისის ხარჯები		30150	23586	19892.13	18,849.02	18,849.02	18,849.02	
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები		-	450	148.53	148.53	148.53	148.53	
1.2.6 სამედიცინო ხარჯები								
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები		500						
1.2.8. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	5	32200	33150	33132.90	31770.35	31770.35	31770.35	
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		3300	3250	3234	3170.55	3170.55	3170.55	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება								
1.6 გრანტები								
1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს								
1.7 სოციალური უზრუნველყოფა								
1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოცდხმარება		-	8160	8160	8151.16	8151.16	8151.16	
1.8 სხვა ხარჯები								
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები								
1. სულ ხარჯები								

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(528,574.60)
საქონელი და მომსახურება	(105,709.44)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(36,814.89)
<i>მ.შ. ფიზიკური ცვეთა</i>	32,962.94
სოციალური უზრუნველყოფა	(8151.16)
აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა	(176,448.13)
<i>მ.შ. არაფინანსური აქტივები</i>	176,448.13
<i>მატერიალური მარაგების</i>	
<i>არაწარმოებული აქტივების</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები</i>	
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	
სულ სადებეტო ბრუნვა	(855,698.22)
სულ ჯამი	855,698.22
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011	146,280.07
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტი და მიღებული დაფინანსება	647,999.20
შემოსავლები	
<i>მ.შ. გრანტები</i>	
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	1,109,923.98
<i>მ. შ. ძირითადი აქტივები</i>	1,109,923.98
<i>არაწარმოებული აქტივები</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>მ.შ. მოგება ფლობიდან</i>	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
სულ საკრედიტო ბრუნვა	1,904,203.25
სულ ჯამი	1,904,203.25
ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,048,505.03

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშვნა	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვით	გრანტებით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	ნებაყოფლობითი ტრანსფერებით გარდა გრანტებისა	საკუთარი სახსრებით	გაყიდვით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	გრანტები	სხვა ხარჯები	საქონელი და მომსახურება	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
მატერიალური მარაგები														
სტრატეგიული მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები														
ძირითადი აქტივები		146280.06	5564		1109923.98				176448				36814.88	1048505.03
შენობა-ნაგებობები		47448.28			1109689.11				145157				17256.09	994724.30
არასაცხოვრებელი შენობები		47448.28			1109689.11				145157				17256.09	994724.30
მანქანა დანადგარები და ინვენტარი		98831.78	5564		234.87				31291.10				19558.79	53780.73
სატრანსპორტო საშუალებები		73887.66							31291.10				7821.78	34774.75
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		24944.32	5564		234.87				0				11737.01	19005.98
სხვა ძირითადი აქტივები														
არამატერიალური ძირითადი აქტივები														
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები														

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ფორმა N6 - ანგარიში ავტომაქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	ანალიზური აღრიცხვის მონაცემები													
მაჩვენებელთა დასახელება	პირველი კვარტლის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შემენა	სხვა სახით	ექსპლუატა	რ-ბა								
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რ-ბა	რ-ბა	რაოდენობა	რ-ბა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
1 სატრანსპორტო საშუალებები სულ:	10					4	31120.45	2866.80	23040.35	5213.30	31120.45	2866.80	23040.35	5213.30
მ.შ. მსუბუქი მანქანები	10					4	31120.45	2866.80	23040.35	5213.30	31120.45	2866.80	23040.35	5213.30
ჯიპები და პიკაპები														
სატვირთო														
2 მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	147		9	10		24	605	605			605	605		
მობილური ტელეფონები	4			4		1								
ტელევიზორები	3		1											
კომპიუტერები	45		8	2		8	605	605			605	605		

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების, საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N17 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

სამინისტროს დაფინანსების წყარო იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის კანონით მიენიჭებული ქონდა ორგანიზაციული კოდი (1008).

სამინისტროს საქმიანობის ძირითადი სფერო იყო: ეკონომიკური პოლიტიკა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მართვა და კონტროლი; სტატისტიკური აღრიცხვა.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები: მინისტრის აპარატი; იურიდიულ და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი; საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი; სტატისტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი; სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტი; შიდა აუდიტის სამსახური.

სამინისტროს სისტემაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება იყო – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი, ხოლო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო.

სამინისტრო ასევე კონტროლს ახორციელებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

ა) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

დ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. მოთხოვნები

სამინისტროში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოთხოვნები არ ირიცხებოდა.

4. ვალდებულებები

სამინისტროში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებები არ ირიცხებოდა.

5. საქონელი და მომსახურება

ა) ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, რომელიც ეხებოდა შტატგარეშე მუშაკებს, გაირკვა, რომ:

ომარი შონია - დაინიშნა მინისტრის აპარატის საქმისწარმოების (კანცელარია) განყოფილების (დაკომპლექტებული იყო 8 საშტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 3 იანვრიდან) და დაეკისრა მინისტრის ცალკეული დავალებებისა და განკარგულებების შესრულება, ასევე მინისტრის აპარატის შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხელშეწყობა. ამასთან რაიმე სახის დოკუმენტი, რომელშიც აისახებოდა ო. შონიას მიერ დაკისრებული მოვალეობებისა და საქმიანობების შესრულება სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, ომარი შონიაზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 5,760.0 ლარი.

დავით ნადირაძე - დაინიშნა საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტში (დაკომპლექტებული იყო 8 საშტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 3 იანვრიდან) და დაეკისრა სამინისტროს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა. ამასთან რაიმე სახის დოკუმენტი, რომელშიც აისახებოდა დავით ნადირაძის მიერ დაკისრებული მოვალეობებისა და საქმიანობების შესრულება სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 3,600.0 ლარი.

ნინო ოჩიგავა - დაინიშნა მინისტრის აპარატის შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 3 იანვრიდან) და დაეკისრა საზოგადოებასთან ურთიერთობის რეგულირება. ფაქტობრივად ის ასრულებდა საქმისმწარმოებლის ფუნქციებს, ახდენდა შემოსული და გასული

კორესპოდენციის რეგისტრაციას და ადრესატამდე მიწოდებას. სამინისტროს დებულებით ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენდა მინისტრის აპარატის შემადგენლობაში არსებული საქმისწარმოების (კანცელარია) განყოფილების ამოცანებს, რომელშიც დასაქმებული იყო 8 მუშაკი. მიუხედავად ამისა, ნ. ოჩიგავაზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 3,693.33 ლარი.

კემალ ხაშბა - დაინიშნა საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტში (დაკომპლექტებული იყო 8 სამტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 3 იანვრიდან) და დაეკისრა დეპარტამენტის სამტატო განრიგით გათვალისწინებული საჯარო მოხელეებისათვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა. ამასთან, რაიმე სახის დოკუმენტი, რომელშიც აისახებოდა კ. ხაშბას მიერ დაკისრებული მოვალეობებისა და საქმიანობების შესრულება სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 4,800.0 ლარი.

ანჟელა გვილავა - დაინიშნა სტატისტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტში (დაკომპლექტებული იყო 6 სამტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 3 იანვრიდან) და დაეკისრა სამინისტროს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა. ამასთან, რაიმე სახის დოკუმენტი, რომელშიც აისახებოდა ა. გვილავას მიერ დაკისრებული მოვალეობებისა და საქმიანობების შესრულება სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 4,560.0 ლარი.

ასმათი ღურჭაია - დაინიშნა საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტში (დაკომპლექტებული იყო 8 სამტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 3 იანვრიდან) და დაეკისრა სამინისტროს მიერ, 100 %-იანი წილით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური მონიტორინგის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, ასევე საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა. მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 1,520 ლარი.

გულსუნდა შამათავა - დაინიშნა იურიდიულ და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის (დაკომპლექტებული იყო 5 სამტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 8 იანვრიდან) და დაეკისრა სამინისტროს საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ინფორმაციების მოძიება-დამუშავება და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის მიწოდება. ამასთან, რაიმე სახის დოკუმენტი, რომელშიც აისახებოდა გულსუნდა შამათავას მიერ დაკისრებული მოვალეობებისა და საქმიანობების შესრულება სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 4,383.33 ლარი.

ნიკოლოზ რეხვიაშვილი - დაინიშნა სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტის (დაკომპლექტებული იყო 8 სამტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 13 მაისიდან) და დაეკისრა ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების ნუსხის შედგენაში მონაწილეობის მიღება. ამასთან რაიმე სახის დოკუმენტი, რომელშიც აისახებოდა გულსუნდა შამათავას მიერ დაკისრებული მოვალეობებისა და საქმიანობების

შესრულება სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 1,748 ლარი.

ლალი მარშანია - დაინიშნა იურიდიულ და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის (დაკომპლექტებული იყო 5 საშტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 7 ოქტომბრიდან) და დაეკისრა საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ინფორმაციების მოძიება - დამუშავება და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის მიწოდება. ამასთან რაიმე სახის დოკუმენტი, რომელშიც აისახებოდა ლალი მარშანიას მიერ დაკისრებული მოვალეობებისა და საქმიანობების შესრულება სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 1,400 ლარი.

ციალა მამაცაშვილი - დაინიშნა მინისტრის აპარატის (დაკომპლექტებული იყო 8 საშტატო ერთეულით) შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 16 ოქტომბრიდან) და დაეკისრა მედია კოორდინატორის ფუნქცია. ამასთან რაიმე სახის დოკუმენტი, რომელშიც აისახებოდა ციალა მამაცაშვილის მიერ დაკისრებული მოვალეობებისა და საქმიანობების შესრულება, სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 1,596 ლარი.

ბ) ეკონომიკის სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ავტომატურ საწვავის ლიმიტები და გაწეული ხარჯები შეადგენდა:

დასახელება	ყოველთვიური ლიმიტი (ლიტრი)		წლიური ლიმიტი (ლიტრი)	სულ ხარჯი		ხარჯი ლიმიტის ფარგლებში		მივლინებასთან დაკავშირებით ლიმიტს ზევით ხარჯი	
	01.01.13-11.07.13	11.07.13-01.01.14		ლიტრი	ლარი	ლიტრი	ლარი	ლიტრი	ლარი
პერსონალური სარგებლობის	400	500	5400	6693	12783.1	5385	10281	1308	2502.1
სამსახურებრივი სარგებლობის	250	200	2700	3290	6199.8	2700	5041.4	590	1158.4
სამსახურებრივი სარგებლობის	300	250	3300	2636.62	5038.4	2636.62	5038.4	-	-
ჯამი	950	950	11400	12619.62	24021.3	10721.62	20360.8	1898	3660.5

6. სხვა განმარტებები

ა) რისკები

სამინისტროს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე არ ქონდა განსაზღვრული სამინისტროს წინაშე არსებული რისკის შემცველი სფეროები. ასევე არ ხორციელდებოდა

ოპერაციების კონტროლის სისტემების ადეკვატურობის შეფასება; რისკის მართვა არ იყო განხორციელებული ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

ბ) პრემიები

სამინისტროს მუშაკებზე მინისტრის ბრძანებების საფუძველზე გაცემულია პრემიები მთელი წლის განმავლობაში 64,370.0 ლარის ოდენობით. ერთ მუშაკზე გაცემული პრემიის მოცულობა შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 1-1.5-ის მოცულობას, გამონაკლისია მხოლოდ მინისტრზე (ნ. შეროზია) გაცემული პრემიების მოცულობები, რომელიც წლის განმავლობაში ორი თანამდებობრივი სარგოს ტოლია, კერძოდ გაცემულია იანვარში - 2,650.0 ლარი და მარტში - 2,650.0 ლარი, სულ 5,300.0 ლარი.

7. სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ 2013 წელს განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 207 ხელშეკრულება, საიდანაც 204 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შესყიდვა და ერთ შემთხვევაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო ავტომატური საწვავის და ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურების შესყიდვები განხორციელდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით.

2013 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების საშუალება	ხელშეკრულების რაოდენობა	(ლარი) გადახდა
გამარტივებული შესყიდვა	204	54,285.45
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	1	2,694.40
კონსოლიდირებული ტენდერი	2	48,801.71
ჯამი	207	54,285.45

აუდიტის პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების წლიური და კორექტირებული გეგმები, ასევე მიმდინარე და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები სააგენტოში წარდგენილია დადგენილი ვადების დაცვით.

აუდიტის ჯგუფი:



გიორგი ფრუიძე

25 თებერვალი 2014 წელი